



პროექტი

„სტაჟირების და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა სტუდენტებისთვის“

პროექტი ხორციელდება ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის - ICDC (Institutional and Capacity Development Center) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის USAID Economic Security Program (DAI) მხარდაჭერით და დაფინანსებით.

პროექტის მიზანი:

პროექტის მიზანს წარმოადგენს ერთის მხრივ ახალგაზრდების სამუშაოსთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა სტაჟირების გზით, მეორეს მხრივ კი სხვადასხვა სექტორების კვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, ახალგაზრდებსა და დამსაქმებლებს შორის საქმიანი ურთიერთობების (ქსელის) განვითარების განვითარება.

პროექტი ითვალისწინებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირების შესაძლებლობებს შემდეგ სექტორებში:

- **ტურიზმის სექტორი:** (სათავგადასავლო / მთის, კულტურული, გასტრონომიული -ღვინო და კულინარია, განთავსება)
- **კრეატიული ინდუსტრიის სექტორი:** (ნებისმიერი სახის მედია შინაარსის - მათ შორის სოციალური ქსელების მართვა)
- **მსუბუქი მრეწველობის სექტორი:** (ავეჯის წარმოება, შეფუთვის სამუშაოები)
- **ინტელექტუალური მომსახურების სექტორი:** (ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგი (BPO): ინფორმაციული ტექნოლოგიები, მომხმარებელთა ურთიერთობების მენეჯმენტი, არქიტექტურა, დიზაინი და ინჟინერია, ფინანსები და ბუღალტრული აღრიცხვა. ადამიანური რესურსები)
- **სექტორები რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა ინდუსტრიის განვითარებისთვის:** (საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგია, ელექტრონული კომერცია- online გაყიდვები და სხვა, ასევე ტრანსპორტი და ლოჯისტიკა)

სტაჟირების გავლის ადგილმდებრელობა:

პროექტი ითვალისწინებს სტაჟირების შესაძლებლობას სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულებისთვის საქართველოს 5 რეგიონში.

თბილისი

იმერეთი

აჭარა

სამეგრელო

შიდა ქართლი

პროექტის ბენეფიციარები:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კოლეჯების სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
2. ბიზნეს კომპანიები საქართველოს 5 რეგიონიდან.

პროექტის პარტნიორები:

- უნივერსიტეტები;
- კოლეჯები;
- ბიზნეს კომპანიები.



პროექტში ჩართვის მსურველების პარტნიორობის განვითარება

ინსტიტუციური და შესაძლებლობების განვითარების ცენტრი - ICDC გააფორმებს მემორანდუმებს პროექტში ჩართვის მსურველ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ბიზნეს კომპანიებთან. თანამშრომლობის ეს კოალიცია, ხელს შეუწყობს სამომავლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნეს კომპანიებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას საგანმანათლებლო პროგრამებში დამსაქმებლების ჩართულობის მიმართულებით. ეს თანამშრომლობა მნიშვნელოვნად ზდის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობის შესაძლებლობებს.

პროექტის KPI და მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის შედეგად:

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და კოლეჯების 100 სტუდენტი შეირჩევა, რომელებიც გაივლიან **ანაზღაურებად სტაჟირებას** სამუშაო ადგილზე.
- მიიღებენ სხვადასხვა დარგების საქმიანობის შესაბამის საჭირო ცოდნის და გამოიმუშავენ საქმიანობის შესასრულებლად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ახალგაზრდების დასაქმებას და თავის მხრივ ბიზნეს კომპანიების გაძლიერებას საჭირო ადამიანური კაპიტალით.

სტაჟირების ვადა:

3 თვე

სტაჟირების პერიოდში ანაზღაურების ოდენობა:



- **430 ლარი** თვეში (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველაწლიური გადასახადის/მოსაკრებლის/შენატანის ჩათვლით).

სტაჟიორების ანაზღაურების დაფინანსება:

- **300 ლარი თვეში** (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველაწლიური გადასახადის/მოსაკრებლის/შენატანის ჩათვლით) გამოიყოფა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის **USAID Economic Security Program(DAI) ფინანსური მხარდაჭერით** თითოეული სტაჟიორისთვის, რაც ნიშნავს 1 სტაჟიორის 3 თვიანი სტაჟირების პერიოდის გავლის განმავლობაში 900 ლარით დაფინანსებას.
- **130 ლარი თვეში** (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველაწლიური გადასახადის/მოსაკრებლის/შენატანის ჩათვლით), რომელიც დაფინანსდება სტაჟიორების მიმღები კომპანიებისგან. რაც ნიშნავს 1 სტაჟიორის - 3 თვიანი სტაჟირების პერიოდის გავლის განმავლობაში 390 ლარით თანადაფინანსებას.

როგორ ხდება პროექტში მონაწილეობის მიღება და რა შერჩევის რა პროცესს გაივლის სტაჟიორების კანდიდატი?

სტაჟირების გავლის მსურველები რეგისტრაციას გაივლიან სპეციალური სააპლიკაციო განაცხადის მეშვეობით რომელიც განთავსებულია ICDC ოფიციალურ ვებ-გვერდზე - <https://icdc.ge/>

- მოხდება მიღებული განაცხადების გადარჩევა, სტაჟირების მიმღები ორგანიზაციების მოთხოვნების შესაბამისობის კუთხით.
- პირველი ეტაპზე შერჩეული კანდიდატები გაივლიან გასაუბრებას პროექტის ორგანიზატორებთან და სტაჟიორების მიმღებ კომპანიების წარმომადგენლებთან.

შერჩეული სტაჟიორები:

1. გაივლიან **შეხვედრებს და მასტერკლასებს** დასაქმებისა და კარიერული განვითარებისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხებზე.
 - ⇒ დასაქმების უნარ-ჩვევები;
 - ⇒ ინტერვიუს ტექნიკები;
 - ⇒ ორგანიზაციაში ადაპტაცია;
 - ⇒ შრომის უფლებები.
2. მონაწილეობას მიიღებენ **სამუშაო შეხვედრებსა და პანელურ სესიაში სხვადასხვა დარგების და კომპანიების HR დირექტორებთან;**
3. პროფესიული და კარიერული მიზნების განსაზღვრის მიზნით - გაივლიან ჯგუფური ქოუჩინგის სესიებს ამ სფეროს წამყვან ექსპერტთან;
4. ექნებათ შესაძლებლობა შეხვდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელ



პირებს. შეხვედრების შედეგად ისინი მიიღებენ ინფორმაციას განათლებისა და დასაქმების სხვადასხვა პროგრამებისა და შესაძლებლობების გარშემო.

სტაჟირება და სტაჟირების პროცესის მონიტორინგი:

შერჩეული 100 სტუდენტი და კურსდამთავრებული 3 თვიან ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან საქართველოს 5 რეგიონში, წამყვან ბიზნეს კომპანიებში.

სტაჟირების მიმღები კომპანიებს მუდმივი გამოყენებისთვის სარეკომენდაციო სახელმძღვანელოდ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტაჟირების *Toolkit*, რომელიც მოიცავს:

- სტაჟირების გავლის წესი;
- სტაჟირების პროცესის და სტაჟირების შედეგების შეფასების ფორმები;
- სტაჟირების ხელშეკრულების დრაფტი.

ICDC ასევე სამუშაო შეხვედრის ფორმატში უზრუნველყოფს შემუშავებული *Toolkit*-ის პრეზენტაციას და გამოყენების პრაქტიკული რეკომენდაციების გაზიარებას სტაჟირების მიმღები კომპანიების წარმომადგენლებთან/ HR პროფესიონალებთან.

(რეგიონებში არსებული კომპანიების წარმომადგენლებისთვის სამუშაო შეხვედრა გაიმართება online რეჟიმში.)

- *ICDC უზრუნველყოფს სტაჟირების გავლის პერიოდში სტაჟირების ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შესრულების, ასევე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტაჟირის უფლებების დაცვის მონიტორინგს.*
 - ⇒ მონიტორინგი განხორციელდება სტაჟირების დაწყებიდან 1 თვის და სტაჟირების პერიოდის დასრულების შემდგომ.
 - ⇒ მონიტორინგი განხორციელდება სტაჟირების გამოკითხვების საფუძველზე.
 - ⇒ გამოკითხვა განხორციელდება ელექტრონული ფორმით, შევსებული კითხვარებით მოწოდებული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით განხორციელდება ზარები საჭიროების შესაბამისად და მოხდება რეაგირება ბენეფიციარი ორგანიზაციის შესაბამის წარმომადგენლებთან/HR-ებთან.
- *სტაჟირების პროცესის ხარისხისა და მოსალოდნელი შედეგების ანალიზის მიზნით ICDC უზრუნველყოფს სპეციალური ელექტრონული შეფასების ფორმების დაგზავნას კომპანიების წარმომადგენლებთან.* შეფასების შედეგების ანალიზი განხორციელდება შევსებული კითხვარების დამუშავების შედეგად - თვისობრივი ანალიზის საფუძველზე. ინფორმაციის დაზუსტების და სრულყოფის მიზნით საჭიროებისამებრ მოხდება შეხვედრების ორგანიზება კომპანიების წარმომადგენლებთან.

პროექტის დახურვა

სტაჟირების დასრულების შემდგომ ICDC-ს ორგანიზებით გაიმართება პროექტის დახურვის საზეიმო ცერემონია.

დახურვის ცერემონიაზე პროექტის ბენეფიციარებს მიმართავენ სხვადასხვა სამინისტროების მაღალი რგოლის თანამდებობის პირები, USAID Economic Security Program implemented by DAI წარმომადგენლები, პროექტის განმახორციელებელი გუნდის წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები.



მონაწილეები ისაუბრებენ პროექტის შედეგებზე, სამომავლო მიზნებზე და შედეგებზე, დახურვის ცერემონიაზე წარმოდგენილი იქნება ასევე პროექტის შემაჯამებელი ვიდეო რგოლი.

- ⇒ სტუდენტებს გადაეცემათ სტაჟირების გავლის სერტიფიკატები;
- ⇒ მაღლიერებისა და პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის სერტიფიკატები გადაეცემათ ასევე პროექტის პარტნიორ/მხარდამჭერ/ბენეფიციარ კომპანიებს.

დახურვის ცერემონიის აუდიტორია:

- USAID Economic Security Program implemented by DAI;
- USAID-ის სხვა პროექტების წარმომადგენლები;
- სხვადასხვა დარგობრივი სამინისტროს წარმომადგენლობა:
 - საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები;
 - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დევენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები;
 - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები;
- ბიზნეს გაერთიანებების წარმომადგენლები;
- დამსაქმებელი კომპანიების წარმომადგენლები.

რეგისტრაციის ვადები:

რეგისტრაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის მიმდინარეობს მხოლოდ 20 ოქტომბრამდე

- შერჩევის პირველი ეტაპი (განაცხადების შესაბამისობის დადგენა კომპანიების მოთხოვნებთან) განხორციელდება: 25 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე
- შერჩევის მეორე ეტაპი (გასაუბრება პროექტის წარმომადგენლებთან და კომპანიებთან) განხორციელდება: 30 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე

რეგისტრაცია ბიზნეს კომპანიებისთვის მიმდინარეობს მხოლოდ 10 ნოემბრამდე